სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №2022-075

ქ. თბილისი **23 ივნისი, 2022 წ.**

ერთი მხრივ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი სახალხო დამცველის მოადგილის გიორგი ბურჯანაძის სახით და მეორე მხრივ, **შპს „კაბადონი+“** (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის თეა გადაბაძეს სახით, სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 21 ივნისის N3122-22 მოხსენებითი ბარათისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ (5000 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვა - მონეტარული ზღვრების შესაბამისად) ქვეპუნქტის დაცვით ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.
1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი და მიწოდების ვადები

2.1. მიმწოდებელი მიაწოდებს შემსყიდველს 100 (ასი) ცალ სამართალდარღვევის ოქმს (CPV 79823000 - ბეჭდვა და ადგილზე მოწოდება).
2.2. მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 30 ივნისის ჩათვლით.
2.3. მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ ქ. N80.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ერთეულის ღირებულება შეადგენს 3.50 ლარს.
3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 350.00 (სამას ორმოცდაათი) ლარს.
3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ დამადასტურებელი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის (ანგარიშფაქტურა ან/და მიღება–ჩაბარების აქტი ან/და ზედნადები) შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ, უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით. დაფინანსების წყარო: 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.
4.2. ანგარიშსწორების ვადა – შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
4.3 მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში (საგარანტიო მომსახურების ვადის ჩათვლით) დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.
5.2. შემსყიდველის მხრიდან ამ მუხლის 5.1. პუნქტში აღნიშნულ საანგარიშსწორებო დოკუმენტაციას ხელს მოაწერს „ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.1. პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
6.2. შემსყიდველი ვალდებულია:
უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
გაუწიოს მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი კოორდინატორი: **მაია ლიპარტელიანი** – სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი.
7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გაწეული მომსახურების მიწოდების ვადების, მოცულობის, ხარისხის კონტროლს და ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.
7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.
8.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
8.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
9.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ განთავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მხარეები პასუხს აგებენ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულობლობისათვის ან/და მისი არაჯეროვნად შესრულებისათვის კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ზიანის ოდენობით, ურთიერთშეთანხმებით, ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N80 საიდ. კოდი: 203860679 ტელ.: 1481 (ცხელი ხაზი); 597 77 21 23 ელ–ფოსტა:bmikadze@ombudsman.ge სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222 ა/ა: 200122900 Public Defender Office of Georgia Digitally signed by Public Defender Office of Georgia Date: 2022.06.23 10:51:52 +04'00' _____ სახალხო დამცველის მოადგილე გიორგი ბურჯანაძე	მიმწოდებელი: შპს „კაბადონი+“ მის.: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N68 საიდ. კოდი: 205186065 ტელ.: 577 74 04 99; 2 94 04 99 ელ–ფოსტა: lashaiashvili@yahoo.com სს “თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE78TB7390336020100001 _____ დირექტორი თეა გადაბაძე

ინფორმაცია №2022-075

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 23 ივნისი, 2022 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, გიორგი ბურჯანაძე (საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილე - ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი), ბიძინა მიქაძე (ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის შესყიდვების სპეციალისტი) და მაია ლიპარტელიანი (სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი - ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მე–4 პუნქტის შესაბამისად, ვადასტურებთ, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2022 წლის 23 ივნისს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული ხელშეკრულება №2022-075-ის ფარგლებში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

გიორგი ბურჯანაძე

ბიძინა მიქაძე

მაია ლიპარტელიანი